აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 6 | 20 აპრილი, 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/46 11.04.2023 წელი)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი: მარინე გვიანიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი: მარინე გვიანიძე
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

11.04.2023 წელი	წამყვანი კომიტეტი - 11.05.2023 წელი სხვა კომიტეტები -04.05.2023 წელი	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

- უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლეს საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით -ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 4 ფურცელი

პატივისცემით,

11-09-01-08/46
5 04 2023

უმაღლესი საბჭოს წევრი **მარინე გვიანიძე**

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვა განეკუთვნება საბიუჯეტო უფლებამოსილებას, რომლისთვისაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში დათმობილია 118-ე მუხლი. ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვა პრაქტიკაში მოიცავს რამოდენიმე ეტაპს. დაწყებული დარეგისტრირების მომენტიდან საბოლოო დასკვნის მომზადებამდე. რეგლამენტის დღეს მოქმედი 118-ე მუხლი სრულად არ ასახავს სამუშაო ციკლს. კერძოდ: არ არის დადგენილი დოკუმენტის უმაღლეს საბჭოში დარეგისტრირებიდან კონკრეტულ სუბიექტებზე გადასაცემი ვადა, მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი და განმსახილველ პირთა წრე.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

რეგლამენტის პროექტის მიზანია სამუშაო პროცესის ყველა ეტაპის საკანონმდებლო დონეზე ასახვა და პრაქტიკული საქმიანობის კანონმდებლობასთან თანხვედრა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის რეგლამენტის 118-მუხლში და მე-2 პუნქტს ემატება **2**[1] პუნქტი. კერძოდ: დგინდება უმაღლეს საბჭოში ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი, განმსახილველ პირთა წრე და დოკუმენტის მიწოდების ვადები.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი მარინე გვიანიძე.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი მარინე გვიანიძე.

მ. გვ.-მ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 118. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვა

1. უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ყოველი წლის 15 ივნისამდე წარუდგენს მას ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვასა და შეთანხმებას ორგანიზებას უწევს უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.
3. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები და ფრაქციები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ და მიიღონ საჭირო ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან, სამინისტროებიდან, სხვა უწყებებიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან.
4. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები, როგორც წესი, მათ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით განიხილავენ ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ და ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც არაუგვიანეს 25 ივნისისა წარედგინება უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს, რომელიც მათ თავის დასკვნასთან და წინადადებებთან (შენიშვნებთან) ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის გადაგზავნის მიზნით გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნულ მასალებს არაუგვიანეს 30 ივნისისა უგზავნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

<u>**პროექტი**</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) 118-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„$2^{1.}$ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაცია უმაღლეს საბჭოში შემოსვლიდან არაუგვიანეს 2 დღისა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ ეგზავნება კომიტეტებს და ფრაქციებს.

მუხლი 2.

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
მაისი, 2023 წ

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

12/04/2023
N 597

597-09-02-11-3-202304121418

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის თაობაზე

(N09-01-08/46, 11.04.2023 წ. ინიციატორი: უმაღლესი
საბჭოს წევრი - მარინე გვიანიძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი